გაზეთი “კომუნისტი”, 1937 წელი, 30 აგვისტოს №198 (4999).

ხალხის მტერთა მიმართ არ არსებობს შებრალება

ბორჩალოს რაიონის პედაგოგთა კონფერენცია, რომელიც მიმდინარეობს ბორჩალოში 280 კაცის რაოდენობით, მიესალმება საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოს განაჩენს გამხეცებული ბანდიტების - წითლიძის, ალავერდაშვილის, აბაშიძისა და სხვა ქვეწარმავალთა ხროვის შესახებ, რომლებიც სიღნაღის რაიონში თარეშობდნენ და ხელჰყოფდნენ სოციალიზმის მონაპოვართ, საბჭოთა ხალხის ბედნიერ ცხოვრებას. ბორჩალოს რაიონის პედაგოგები პირობას იძლევიან უფრო აამაღლონ სიფხიზლე, ბოლომდე ამხილონ და აღმოფხვრან ხალხის მტრები მასწავლებელთა წრიდან.

ბორჯომის რკინიგზის საორთქლმავლო დეპოში შედგა მუშა-მოსამსახურეთა და ინჟ.-ტექნიკოსთა სახელდახელო მიტინგი. მიტინგზე ინფორმაციით გამოვიდა ამხ. ბანცაძე, რომელმაც მიტინგს გააცნო სიღნაღში აღმოჩენილი ტერორისტულ-მავნებლური ბანდის - წითლიძის, ალავერდაშვილის, აბაშიძის, სტეფანოვისა და სხვათა დივერსიული მავნებლური მუშაობა. მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ ამხ. ვიბრონოვი, მინადორა გელაშვილი, გრ. გელაშვილი, მერკვილაშვილი, გოგოლაძე და სხვები, რომლებმაც ახალი საწარმოო ვალდებულებები იკისრეს მავნებლურ-დივერსიული მუშაობის საპასუხოდ და ერთსულოვნად მოიწონეს წითლიძის, ალავერდაშვილის, აბაშიძის, სტეფანოვისა და სხვათა მიმართ სასჯელის უმაღლესი ღონისძიება - დახვრეტა.

29 აგვისტოს თბილისის საორთქლმავლო დეპოში მუშების, ინჟინერ-ტექნიკოსების და მოსამსახურეების სახელდახელო მიტინგზე აღფრთოვანებითა და ტაშის გრიალით შეეგებნენ საქართველოს უზენაესი სასამართლო სპეციალურ შემადგენლობის სესიის განაჩენს სიღნაღის მემარჯვენეთა კონტრრევოლუციურ, ტროცკისტულ - დივერსიული ჯგუფის წევრების ალავერდაშვილის, წითლიძის, აბაშიძის, სტეფანოვისა და სხვ. მათი დამქაშების დახვრეტის შესახებ. მიტინგზე გამოსული მუშები ბერიშვილი (მჭედელი), აგაბაბოვა (სტახანოველი ქალი), მგელაძე, კუზმინი, გაი, ბახტაძე, მაჭავარიანი და სხვ. აღფრთოვანებით ამბობენ: *დეე, იცოდნენ ერთხელ და სამუდამოდ ხალხის საზიზღარმა მტრებმა, რომ ხალხის განაჩენი მათ მიმართ მხოლოდ, ერთია - სიკვდილი და ბოლომდე განადგურება მათ. მადლობა შინსახკომის ორგანოებს ამ უბოროტესი მტრების დროზე განადგურებისათვის. კიდევ უფრო შევმჭიდროვდებით ჩვენი მშობლიური სტალინის ირგვლივ, გავამახვილებთ კლასობრივ სიფხიზლეს, გამანადგურებელ ლახვარს ჩავსცემთ ხალხის მტრებსა და ყველა იმას, ვინც შეეცდება ხელი შეუშალოს პროლეტარიატის აყვავებული სამშობლოს წინასვლას - აღნიშნულია მიტინგზე ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში.*

ღრმა კმაყოფილებით შეხვდნენ სპილენძსაგლინავი ქარხნის მუშა-მოსამსახურენი და ინჟინერ-ტექნიკოსები საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს განაჩენს სამშობლოს საზიზღარი მოღალატეების, ხალხის მტრების - წითლიძის, ალავერდაშვილის, სტეფანოვის და სხვ. მიმართ, რომლებიც თარეშობდნენ სიღნაღის რაიონში.
- *მთელი ჩვენი ქვეყნის მშრომელნი დიდი მოწონებით ხვდებიან სამართლიან განაჩენს* - ამბობენ მიტინგზე გამოსული მუშები.
- *დეე ნურავინ გაბედავს აღმართოს ხელი ჩვენი მშვენიერი, საამური ცხოვრების წინააღმდეგ. ყველა ისე იქნება განადგურებული, როგორც განადგურდნენ ფაშისტთა ეს საძაგელი ჯაშუშები და დივერსანტები.*

„უფრო შეუპოვრად ვიბრძოლებთ ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად. უფრო მხნედ და მხიარულად ავმუშავდებით, ავამაღლებთ რა შრომის ნაყოფიერება და ვადაზე ადრე შევასრულებთ ჩვენს წლიურ გეგმებს - ნათქვამია მიტინგზე მიღებულ რეზოლუციაში.
გაუმარჯოს დიად კომუნისტურ პარტიას! გაუმარჯოს ხალხთა დიდ ბელად ჩვენ მშობლიურ სტალინს!“

მემარჯვენეთა სიღნაღის კონტრრევოლუციონერ მავნებელთა ორგანიზაციის პროცესი

სახელმწიფო ბრალმდებლის, საქართველოს რესპუბლიკის პროკურორის ამხ. ი. ტალახაძის სიტყვიდან

მემარჯვენეთა სიღნაღის კონტრრევოლუციური ორგანიზაცია - კონტრრევოლუციონერთა მოსკოვის ცენტრის შტოა

მემარჯვენეთა სიღნაღის კონტრრევოლუციური ტერორისტულ - დივერსიული ორგანიზაციის პროცესზე 27 აგვისტოს ვრცელი და მეტად შინაარსიანი სიტყვით გამოვიდა სახელმწიფო ბრალმდებელი, საქართველოს რესპუბლიკის პროკურორი ამს, ი. ტალახაძე. მემარჯვენეთა სიღნაღის კონტრრევოლუციური ორგანიზაცია, რომელშიაც შედიოდნენ საქ. კ. პ. (ბ) სიღნაღის რაიკომის ყოფილი მდივანი წითლიძე, რაიაღმასკომის ყოფილი თავმჯდომარე შ. ალავერდაშვილი, წნორის მტს-ის ყოფილი დირექტორი ი. სტეფანოვი; ელდარის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის ყოფილი დირექტორი კ. აბაშიძე. რაიონის ყოფილი სახალხო მოსამართლე უ. მახოშვილი, დამცველთა კოლეგიის ყოფილი თავმჯდომარე კობეშავიძე, საქობოს სოფსაბჭოს ყოფილი თავმჯდომარე გ. მეტრეველი. სოფ. ბოდბის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ყოფილი თავმჯდომარე ფ. ყაჯრიშვილი, სოფ. ნუკრიანის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის" ყოფილი თავმჯდომარე - ყუფარაშვილი, 7 ნოემბრის სახელობის

კოლმეურნეობის ყოფილი თავმჯდომარე ნ. ჯავაშვილი და ხირსის საბჭოთა მეურნეობის ყოფილი უფროსი აგრონომი მ. შათირიშვილმა, იბირებდა რა თავის მხარეზე საბჭოთა ხელისუფლებისადმი ყველა მტრულად განწყობილ ელემენტებს — მეფის ყოფილ ოფიცრებს, კულაკებს, ტროცკისტებს და სხვა სისხლის სამართლის დამნაშავეთ, ეწეოდა ძირგამომთხრელ მუშაობას საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად და კაპიტალიზმის აღსადგენად.

— როგორც წინასწარ გამოძიებიდან და იმ პროცესზე ბრალდებულთა და მოწმეთა ჩვენებიდან გამოირკვა, — ამბობს ამხ. ტალახაძე, საბრალდებო დასკვნით წაყენებული ბრალდება მათ მიმართ მთლიანად და სავსებით დადასტურებულია. პროცესმა გვიჩვენა, რომ ეს ორგანიზაცია წარმოადგენდა ტროცკი-ზინოვიევ-პიატაკოვ-ბუხარინ-რიკოვის საკავშირო კონტრრევოლუციური ცენტრის ერთ-ერთ შტოს, მის ფილიალს, მის ერთერთ განყოფილებას. როგორც ვიცით, ამ ფილიალს საქართველოში ხელმძღვანელობას უწევდა საქართველოს კონტრრევოლუციური ცენტრი, რომელშიაც შედიოდნენ: ბუდუ მდივანი, მ. ტოროშელიძე, მ. ოკუჯავა, ელიავა, ყურულოვი და სხვები. ყველა ესენი გამოაშკარავებულ და გასამართლებულ იქნენ ამ რამდენიმე ხნის წინათ და მათ დამსახურებული სასჯელი მიიღეს. მემარჯვენეთა საქართველოს ცენტრი კი სიღნაღის კონტრრევოლუციური ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა თავისი აქტიური წევრების, პირსისხლიანი ფაშიზმის აგენტების: შ. მათიკაშვილის, ვ. გვარამიას, პ. აღნიაშვილის, მ. ვარამაშვილის, ს. კუხალეიშვილის და სხვათა წარგზავნით. ხოლო ადგილზე ა. წითლიძის, შ. ალავერდაშვილის, კ. აბაშიძის და სხვების საშუალებით.

მათი მიზნები და ამოცანები

სახელმწიფო ბრალმდებელი ამხ. ი. ტალახაძე, გადადის მემარჯვენეთა სიღნაღის კონტრრევოლუციური ორგანიზაციის მიზნებისა და ამოცანების გარჩევაზე, ამბობს:

– ეს გარეწარნი: პ, აღნიაშვილი, შ. მათიკაშვილი და სხვები დაუკავშირდნენ რა ადგილობრივ ბანდიტებს, ყოფილ მენშევიკებს, კულაკურ ელემენტებს, სისხლის სამართლის დამნაშავეებს, საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილ პირებს, ალავერდაშვილს, წითლიძეს, აბაშიძეებს, დიდებულიძეებს და სხვებს, შეუდგნენ ამ ბანდიტების საშუალებით საბჭოთა ხელისუფლების ძირგამომთხრელ მუშაობას. ისინი უახლოვდებოდნენ ყველა ჯურის კონტრრევოლუციონერებს, ყოფილ ოფიცრებს, 1924 წლის ავანტურის მონაწილეებს და ემზადებოდნენ ბრძოლისათვის, რომ კვლავ დაებრუნებინათ გლეხებისათვის ბნელი, მათხოვრული, მონური ცხოვრება, ხოლო მემამულეებისა და ვაჭარ ჩარჩებისათვის — დაკარგული ბედნიერება და მუქთახორული განცხრომა, არაფერს ზოგავდნენ იმისათვის რომ დაებრუნებინათ კაპიტალისტებისა და მემამულეებისათვის მიწა წყალი, ქარხნები და მაღაროები და საერთოდ ყველაფერი ის, რაც მათ ჩამოართვა ოქტომბრის რევოლუციის ხელმძღვანელმა კომუნისტურმა პარტიამ

ლენინი სტალინის მეთაურობით და გადასცა მუშებსა და მშრომელ გლეხობას უფასოდ და სამუდამოდ. არ დარჩენილა არც ერთი ბოროტება: ტერორი, გამცემლობა, მავნებლური თავდასხმა და სხვა, ამ კონტრრევოლუციური ტერორისტული დივერსიული მავნებლური ორგანიზაციის წევრებს თავიანთ ხელობად რომ არ გაეხადნოთ. უსაზღვრო და განუზომელია ის დანაშაული, რაც ჩაიდინა საბრალდებო სკამზე მჯდომმა თერთმეტმა კაცმა.

მოსკოვში ჩატარებულმა ზინოვიევ-კამენევისა და პიატაკოვ–რადეკის კონტრრევოლუციური ცენტრების პროცესმა და აგრეთვე დღევანდელმა პროცესმა, - განაგრძობს ამხ. ტალახაძე, - ცხადჰყო რომ ყველა ჯურის კონტრრევოლუციონერებმა საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად აირჩიეს ბრძოლის შემდეგი სახეობანი: ტერორი, შეიარაღებული ბანდების მოწყობა და მომზადება აჯანყებისათვის, მავნებლობა, დივერსიები, მშრომელი გლეხობის დამცირება და შეურაცხყოფა ხელისუფლებისათვის სახელის გასატეხად.

ტერორი. კლასობრივში მტრებმა და მათმა აგენტებმა კარგად იციან, რომ სანამ კომუნისტურ პარტიას სათავეში უდგია გამოცდილი ხელმძღვანელობა, სანამ მშრომელ მასებს მშრომელთა ბელადი ამხანაგი სტალინი და საუკეთესო თანამებრძოლნი მიუძღვიან წინ, შეუძლებელია სოციალიზმის მედგარი წინსვლის შეჩერება, ამბობს, -ამხ. ტალახაძე, - სწორედ ამიტომაა, რომ მტრებმა გადასწყვიტეს ამ ავანგარდის განადგურება. და რადგან ეს შეუძლებელია ღია ბრძოლაში, ამისათვის მათ ამოირჩიეს ბნელი საფარიდან ტერორისტული აქტების ჩადენა ხელისუფლების ერთგული შვილების, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელების, პროლეტარული საქმისათვის თავდადებული მებრძოლების წინააღმდეგ. მტრებმა მიზნად დაისახეს პარტიის ხელმძღვანელთა განადგურება ჯაშუშთა და ბანდიტთა ბინძური ხელებით, მათ დაუმიზნეს საერთაშორისო პროლეტარიატის მედროშეებს და იმედებს. ეს ჯალათები ამზადებდნენ ტერორისტულ აქტებს ამხანაგ სტალინისა და პარტიისა და მუშათა კლასის გამოჩენილი, თავდადებული ხელმძღვანელობის ამხანაგ ვოროშილოვის, მოლოტოვის, კაგანოვიჩის, ბერიას, კოსიორის და სხვათა წინააღმდეგ, კერძოდ, მემარჯვენეთა საქართველოს ცენტრს ბუდუ მდივანის მეთაურობით დავალებული ჰქონდა ამხანაგ ლ. ბერიას მოკვლა. და ეს დირექტივა მიიღო აგრეთვე სიღნაღის რაიონის. ამ ბანდამ, რომლის წევრებიც ამჟამად თქვენს წინაშე საბრალდებო სკამზე სხედან მოელიან ულმობელ განაჩენს. ეს დავალება, მიიღო კახეთის ბანდის თვალსაჩინო წევრმა კ. აბაშიძემ.

შეიარაღებული ბანდების მოწყობა. აბაშიძეს, - განაგრძობს ამხ. ი. ტალახაძე, - ამავე დროს დაევალა შეიარაღებული ბანდების მოწყობა საბჭოთა ქვეყანაზე იმპერიალისტების თავდასხმის შემთხვევაში შეიარაღებული აჯანყების მოსაწყობად. აბაშიძემ, მეფის ამ პორუჩიკმა და შემდეგ მენშევიკების მილიციის უფროსმა, ხალხის

მტრის პეტრე აღნიაშვილის დავალებით მოაწყო კიდეც ოცამდე შეიარაღებული ბანდა. მეამბოხეთა ჯგუფში ფაშისტმა აბაშიძემ ჩააბა ელდარის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობაში განზრახ მოკალათებული, გადასახლებიდან დაბრუნებული ყოფილი მენშევიკები, გვარდიელები, მეფის ოფიცრები, კულაკები, პროფესიული ბანდიტები, რომლებიც მწყემსის ქურქში იყვნენ გახვეულნი, მეამბოხეთა ეს ჯგუფები მოეწყო და განაწილდა სამხედრო სტრუქტურის მიხედვით. აბაშიძემ მოახერხა ამ ხალხის სპეციალურად გადამზადება. ასწავლა მათ, თუ როგორ ემოქმედნათ ომის დროს, როგორ დაეხოცნათ პატიოსან მშრომელთა ცოლშვილი, როცა ხალხი სამშობლოს დასაცავად ფრონტზე წავიდოდა. ეს ბანდა შეიარაღებული იყო შაშხანებით, რევოლვერებით ხანჯლებით, რაც აბაშიძემ თითქოს ცხვრის დასაცავად მწყემსებისათვის მოიმარაგა.

მავნებლობა სოფლის მეურნეობაში

სახელმწიფო ბრალმდებელმა ამხ. ტალახაძემ დაასახელა მთელი რიგი ფაქტები, თუ რა დამანგრეველ მავნებლურ მუშაობას ეწეოდნენ მემარჯვენეთა სიღნაღის კონტრრევოლუციური ორგანიზაცია და მისი წევრები სოფლის მეურნეობის ხაზით.

— ახლა ყველასათვის აშკარაა, — ამბობს თავის სიტყვაში ამხ. ტალახაძე. — თუ რა სიმკაცრით სცდილობდნენ სიღნაღის რაიონის კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების დაშლას და განადგურებას რაიკომის ყოფილი მდივანი წითლიძე, წნორის სამანქანო-სატრაქტორო სადგურის ყოფილი დირექტორი სტეფანოვი, სიღნაღის რაიაღმასკომის ყოფილი თავმჯდომარე ალავერდაშვილი და მათ გარშემო მათგანვე შემოკრებილი სხვა მავნებლები და ბანდიტები, რომლებიც ახლა სამართალში არიან მიცემულნი. დადასტურებულია, რომ კონტრრევოლუციურმა, ტერორისტულმა დივერსიულ-მავნებლურმა ჯგუფმა, რომელიც სიღნაღის რაიონში მუშაობდა და რომელსაც ცენტრიდან ხელმძღვანელობდნენ აღნიაშვილი, მგალობლიშვილი, მათიკაშვილი, კუხალეიშვილი და სხვები, რაიონში კი წითლიძე, ალავერდაშვილი და სტეფანოვი, მრავალი მილიონი მანეთის ზარალი მოაყენა სიღნაღის რაიონის კოლმეურნეობებს და საბჭოთა მეურნეობებს. მავნებლობა მემინდვრეობაში, მავნებლობა მანქანა - ტრაქტორთა სადგურებში, მავნებლობა საქართველოში საკმაოდ ცნობილ საბჭოთა მეურნეობებში, მავნებლობა სასოფლო საბჭოების ხაზით. რაც გამოიხატებოდა საგადასახადო პოლიტიკის უხეშად დამახინჯებაში, მავნებლობა რაიონის სასამართლო ორგანოსა და პროკურატურაში, - აი როგორ ფართოდ იყო გაშლილი და განლაგებული ამ მავნებლობის ფესვები სიღნაღის რაიონში.

იმ დროს, როდესაც საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და მისი ხელმძღვანელი ამხანაგი ლავრენტი ბერია ყოველდღიურად დაუღალავ ენერგიით იბრძოდა და იბრძვის მოსავლიანობის გადიდებისა და მეცხოველეობის საქმის კიდევ უფრო განვითარებისათვის - დასძენს ამხ. ი. ტალახაძე, - როდესაც პარტიისა და

ხელისუფლების მთელი ენერგია, ძალღონე და ფიქრი მიმართულია იქითკენ, რომ მეტი და მეტი აღმავლობით წარიმართოს კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, მანქანა–ტრაქტორთა სადგურები საკოლმეურნეო მშენებლობის დარგში შემდგომ გამარჯვებათა მოსაპოვებლად, - აი, ამ დროს სიღნაღის რაიონში, საქართველოს ამ ერთ-ერთ უდიდეს და მდიდარ, ბარაქიან რაიონში მოკალათებული მტრები მთელი ენერგიით და მთელი თავიანთი შესაძლებლობით იბრძოდნენ იმისათვის, რომ ძირი გამოეთხარათ რაიონის ეკონომიური სიძლიერისათვის, დაენგრიათ შეძლებულობისა და საამური ცხოვრების გზაზე მტკიცედ დამდგარი კოლმეურნეობები.

მავნებლობა მემინდვრეობაში. ამხ. ტალახაძემ თავის სიტყვაში განსაკუთრებით ხაზი გაუსვა იმ მავნებლობას, რომელსაც ეს კონტრრევოლუციონერი დივერსანტები მემინდვრეობაში ეწეოდნენ. ცუდად და ზერელედ ხვნა, თესლის განზრახ გაფუჭება და დალპობა. თესლის ხელოვნურად დასარევლიანება, მიწების მავნებლურად მორწყვა, თესვა გამოფიტულ ნიადაგში და ნოყიერი მიწების გამოუყენებლად დატოვება, საწარმოო ძალების არასწორად განაწილება, შრომის ორგანიზაციის ჩაშლა, - აი, რა მავნებლობას ეწეოდნენ ეს არამზადები მემინდვრეობაში.

დიდი მოსავლის მიღების აუცილებელ პირობას, — განაგრძობს ამხ. ტალახაძე, — წარმოადგენს მიწების ღრმად, 18-20 სანტიმეტრზე მოხვნა. მავნებელი კონტრრევოლუციონერი სტეფანოვი ტრაქტორისტებს ავალებდა მიწა მოეხნათ 12-13 სანტიმეტრის და კიდევ ნაკლებ სიღრმეზე, მოეხნათ ხარვეზებით, სტეფანოვის დაკვეთით მისი აგენტები ხნავდნენ დაგვიანებით და უმთავრესად ცუდ ამინდებში, სთესდნენ ცუდს, ხშირად ხელოვნურად გაფუჭებულ თესლს. სოფელ საქობოს შვიდი ნოემბრის სახელობის კოლმეურნეობას ალაზნის ლიკვიდირებული საბჭოთა მეურნეობიდან გადასცეს მოხნული მიწები, საჭირო იყო მათი მხოლოდ გადახვნა და დათესვა. კარგად დამუშავების პირობებში ამ ნოყიერი მიწიდან შეიძლებოდა ჰექტარზე 18- 20 ცენტნერი მოსავლის მიღება. სტეფანოვმა კი, როგორც ეს საქმის ძიებიდან და ბრალდებულთა დაკითხვიდან გამოირკვა, კოლმეურნეობას განზრახ არ მისცა ტრაქტორები, სანამ ხვნის ვადები არ გავიდა.

ალაზანში ჩატანილი 600 ფუთი თესლი წვიმაში გააფუჭა. თესვის ვადების გასვლის შემდეგ, მავნებელ ა. წითლიძის დავალებით, ეს თესლი უკანვე გადმოიტანეს და 100 ჰექტარზე დათესეს ძალიან გვიან, ცუდად დამუშავებულ და გამოფიტულ ნიადაგში, სადაც ჰექტარიდან ძლივს მიიღეს 4-5 ცენტნერი მოსავალი. ნოყიერი მიწები კი დაუთესავი დასტოვეს, რაიონის კოლმეურნეობათა უმეტესობაში ამ მავნებლებმა ჩაშალეს თესლთაბრუნვა, რომ ამით გამოეწვიათ ნიადაგის გამოფიტვა და მოსავლიანობის შემცირება. ალაზნის საუკეთესო ნაკვეთებზე განზრახ მიუშვეს ზედმეტი წყალი და დააჭაობეს, რის გამო ამ მიწების გამოყენება სათესად არა თუ წელს, არამედ 34 წლის შემდეგაც შეუძლებელი იქნება, ასეთ მავნებლურ საქმიანობას წითლიძე და

ალავერდაშვილი ანხორციელებდნენ სხვა კოლმეურნეობებშიც. მაგრამ ეს საზიზღარი ადამიანები არც ამით კმაყოფილდებოდნენ. ისინი კოლმეურნეობებში მავნებლურად ჰგეგმავდნენ სამუშაოებს.

— როგორც სასამართლოს საქმეებში დართული მასალებიდან სჩანს, განაგრძობს ამხ. ტალახაძე, - ამ მავნებლებმა ბოდბის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას მისცეს თამბაქოს, მზესუმზირას და მარცვლეულის ისეთი გეგმები, რომლებიც აღემატებოდა მათ საწარმოო საშუალებებს. ამას ისიც ემატებოდა, რომ კოლმეურნეობას სათავეში ედგა შენიღბული ტროცკისტი ფ. ყაჯრიშვილი, რომელიც, მოქმედებდა რა სტეფანოვის, ალავერდაშვილის და სხვათა მითითებებით, არც იმ საშუალებებს იყენებდა, რაც კოლმეურნეობას გააჩნდა, ამის შედეგად კოლმეურნეობას 10 ჰექტარი სიმინდი გაუთოხნელობით მთლიანად დაეღუპა. გაუთოხნელი დარჩა მზესუმზირის ნათესებიც, რამაც დიდად შეამცირა მოსავლიანობა, კოლმეურნეობას, რომელსაც ნაკლები საწარმოო საშუალებანი გააჩნდა, მეტსა და გაბერილ გეგმას აძლევდნენ და, პირიქით, ვისაც მეტი საწარმოო საშუალებანი ჰქონდა აძლევდნენ ნაკლებს. ამას ეს მავნებლები სჩადიოდნენ იმისათვის, რომ შეესუსტებინათ კოლმეურნეობათა ძლიერება და სახელი გაეტეხნათ საკოლმეურნეო შრომისათვის.

მემარჯვენეთა სიღნაღის კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრები კოლმეურნეებს შორის მიწას ისე მავნებლურად ანაწილებდნენ, რომ შრომა მეტი დახარჯულიყო შედეგი კი კოლმეურნეებს ნაკლები მიეღოთ. დადასტურებულია, რომ წითელ-წყაროს მთელ რიგ კოლმეურნეობებს ამ მავნებლებმა მიწა მრავალ ნაკვეთად მისცეს, რაც აფერხებდა მის რაციონალურად გამოყენებას. წინა მხრის კოლმეურნეობებს მიწა უკანა მხარეში აქვთ მიზომილი, ხოლო უკანა მხარისას წინა მხარეში. მათ ჩაშალეს საკარმიდამო მიწების გამოყოფის საქმე. მიუხედავად იმისა, რომ ეს სამუშაო ჯერ კიდევ ორი წლის წინათ უნდა დამთავრებულიყო, მთელ რიგ კოლმეურნეობებში, როგორიცაა ბოდბისხევის სტალინის სახელობისა, ძველ ანაგის გაზ. „კოლმეურნის" სახელობისა და სხვ., კოლმეურნეთა მეტ ნაწილს საკარმიდამო მიწა ჯერაც არა აქვს მიზომილი.

მავნებლობა მეცხოველეობაში. ამხ. ტალახაძემ დაწვრილებით ილაპარაკა მეცხოველეობის დარგში გაწეული მავნებლური მუშაობის შედეგებზე.

— კულაკებმა და სხვა ანტისაბჭოთა ელემენტებმა, — სთქვა ამს. ტალახაძემ, — კოლექტივიზაციის პერიოდში იერიში მიიტანეს მეცხოველეობაზე და იგი განადგურებამდე მიიყვანეს. მტრებმა იციან, რომ მეცხოველეობა სათუთი დარგია და სწორედ ამიტომ შეუტიეს მას. სიღნაღის მავნებლები შეგნებულად აფერხებდნენ მეცხოველეობის აღმავლობას. მათიკაშვილის, გვარამიასა და სხვების მეშვეობით შარშან რაიონმა მიიღო ცხვრის მეტიზაციის გეგმა 20 ათას სულზე, მაშინ როდესაც აქ ყოველგვარი პირობები არსებობდა 4-5-ჯერ და კიდევ მეტად გაეზარდათ მეტიზაციის

ტემპები. ეს მავნებლები ხელოვნურად ავრცელებდნენ ეპიზოოტიას, დაავადებულ პირუტყვს განზრახ ურევდნენ ჯანმრთელ ჯოგში და ამით მათაც აავადებდნენ. ამ საშუალებით ალავერდაშვილმა და ზახაროვმა 13,000 სული ცხვარი დახოცეს მარტო რაიაღმასკომის კომბინატში.

ამხანაგ ლ. ბერიამ საქ. კპ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1936 წლის აგვისტოს პლენუმზე გაამახვილა ყურადღება მეგრული თხის გავრცელებაზე. თხის ეს ჯიში ადგილობრივი ჯიშის ძროხაზე მეტ რძეს იძლევა, საკვები კი 4-5-ჯერ ნაკლები სჭირდება. ალავერდაშვილმა მავნებელ გვარამიას მეშვეობით ჯიშიანის ნაცვლად სამეგრელოში 70 უჯიშო თხა შეიძინა, ცივ ამინდებში უყურადღებოდ გადმოგზავნა და დააავადა, შემდეგ ეს ავადმყოფი პირუტყვი ჯანსაღი ცხვრებში შეურია და ამ გზით ავადმყოფობა გაავრცელა.

ჯიშების გაუმჯობესებისათვის სიღნაღის რაიონში შემოყვანილი სიმენტალისა და შვიცის ჯიშის 60 ძროხა მავნებლებმა ხელოვნურად დააავადეს ინფექციური აბორტით. ამ ძროხებისაგან ავადმყოფობა შემდეგ კოლმეურნეობათა ჯანსაღ პირუტყვს გადაედო. ამით ალავერდაშვილმა, გვარამიამ, მათიკაშვილმა და სხვებმა ორი საქმე გააკეთეს: ზარალი მიაყენეს კოლმეურნეებს და ხალხის თვალში სახელი გაუტეხეს ჯიშიანი პირუტყვის მოშენებას. ეს არამზადები დიდ მავნებლობას ეწეოდნენ მეღორეობის დარგშიც. მეღორეობის ფერმებს აწყობდნენ ისეთ კოლმეურნეობებში, სადაც საკვები ბაზა არ იყო, ხოლო ისეთ კოლმეურნეობებში, სადაც მეღორეობის განვითარებისათვის ყველა პირობები არსებობდა, ღორების გაშენების გეგმას არ სახავდნენ. ასეთი მდგომარეობა იყო ნუკრიანის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძში", სოფ. საქობოს კეცხოველის საბ. კოლმეურნეობაში და სხვაგან.

კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძს“ ღა საქობოს სოფლის საბჭოს დიდხანს ედგნენ სათავეში მავნებელი დივერსანტები ყუფარაშვილი და მეტრეველი, რომლებიც ასრულებდნენ რა წითლიძისა და ალავერდაშვილის დავალებებს, სცდილობდნენ კოლმეურნეობებში არევდარევა შეეტანათ და დაემალათ ისინი, ალავერდაშვილმა დასწვა 80 სული ცხვარი და გაანიავა საბინაო მშენებლობისათვის გადადებული 400,000 მანეთი.

მავნებლობა მტს ხაზით. მემარჯვენეთა სიღნაღის კონტრრევოლუციური ტერორისტული ორგანიზაციის ხელმძღვანელებმა დიდი ზიანი მიაყენეს სატრაქტორო პარკს, - ამბობს ამხ. ტალახაძე და მოჰყავს მთელი რიგი ფაქტები. ხალხის მტრის შ. მათიკაშვილის და ვ. გვარამიას მუშაობა მიმართული იყო იქითკენ, რომ გაენადგურებინათ სატრაქტორო მეურნეობა. სტეფანოვი ტრაქტორებს და კომბაინებს რემონტის დროს ახლის ნაცვლად ძველ ნაწილებს უკეთებდა, მათიკაშვილი დროზე არ ჰგზავნიდა სათადარიგო ნაწილებს და რემონტისათვის ფულს. ცუდი რემონტის შედეგად

კი ტრაქტორები და კომბაინები მწყობრიდან გამოდიოდნენ და გამცდარი იყო მთელი სატრაქტორო პარკის ერთი მესამედი. მავნებელი სტეფანოვი იმ ტრაქტორებს, რომლებსაც მიმდინარე რემონტი ესაჭიროებოდა აყენებდა კაპიტალურ რემონტში. მავნებლურად იხარჯებოდა დიდძალი საწვავი მასალა. არ სწარმოებდა მისი აღრიცხვა. სტეფანოვი და მისი დამქაშები ატარებდნენ ზერელე ხვნას 10-12 სანტიმეტრის სიღრმეზე, ყოველწლიურად შლიდნენ მანქანა-იარაღების რემონტს, მავნებლობის მიზნით ამტვრევდნენ კომბაინებს და ტრაქტორებს, ცალკეულ პატარ-პატარა ნაკვეთებზე იყენებდნენ დიდძალიან „რტზ“ ტრაქტორებს, რომლებსაც ტალახში ამუშავებდნენ. აწყობდნენ დიდ გადარბენებს, რათა ტრაქტორები მომცდარიყო და ამავე დროს უზომოდ დაეწვათ საწვავი მასალა. სიღნაღის მტს-ებში არ სრულდებოდა კოლმეურნეობებთან დადებული ხელშეკრულებანი.

მავნებლობა მევენახეობაში. კახეთი და კერძოდ სიღნაღის რაიონი თავისი მაღალხარისხოვანი ღვინით ცნობილია მთელ საბჭოთა კავშირში. მევენახეობისაგან მიღებულ შემოსავალს კახელი გლეხის ბიუჯეტში დიდი ნაწილი უჭირავს, მაგრამ ამ მავნებელთა მიზეზით სოფლის მეურნეობის ეს მეტად საპატიო დარგი მაინც ჩამორჩენილია. ბრალმდებელი ი. ტალახაძე თავის სიტყვაში ასახელებს მავნებლური მუშაობის მთელ რიგ ფაქტებს მევენახეობაში.

ხირსის საბჭოთა მეურნეობის ყოფილი უფროსი აგრონომი მ. შათირიშვილი 1931 წელს ჩაება მემარჯვენეთა კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში. ამ ხნის განმავლობაში მან რამდენიმე მილიონი მანეთის ზარალი მიაყენა ყვარლის საბჭოთა მეურნეობას. მის მიერ მავნებლურად გაშენებულ 208 ჰექტარი ვენახიდან მხოლოდ 70 ჰექტარმა გაიხარა. მან ხირსის საბჭოთა მეურნეობაში 80 ჰექტარი ვენახი მავნებლურად გააშენა. სხვადასხვა ჯიში ერთმანეთში აურია. და ახლა შეუძლებელი ხდება მისგან ხარისხოვანი ღვინის დამზადება. მავნებლურად ააგო ვენახის სათბურები, რაზედაც 120.000 მანეთი დაიხარჯა. გააფუჭა 600.000 ძირი ნამყენი. კუხალეიშვილის და ბაიდაშვილის მონაწილეობით კოლმეურნეობებს მიჰყიდა 50.000 ძირი დაავადებული ლერწი და ამით ავადმყოფობა გაავრცელა ჯანსაღ ვენახებში, 40.000 ცალი დაავადებული ლერწი მისცა აგრეთვე გუმბათის საბჭოთა მეურნეობას.

წითლიძე და ალავერდაშვილი მავნებლურად ადგენდნენ გეგმებს. მათი დავალებით სტალინის სახელობის კოლმეურნეობას უნდა მოეწყო ამერიკული ვაზის ისეთი სადედე, რომელიც დააკმაყოფილებდა რაიონის მოთხოვნილებას. კოლმეურნეობას საამისოდ არავითარი პირობები არ გააჩნდა, სადედის გაშენების გეგმა ვერ შესრულდა და, ამრიგად, მთელი რაიონი ულერწმოდ დარჩა.

ეს ბანდიტები არ ზოგავდნენ ძალ-ღონეს, რომ მევენახეობა რაიონში სრული დაცემის კარამდე მიეყვანათ.

მშრომელთა აბუჩად აგდება

სახელმწიფო ბრალმდებელი ამხ. ი, ტალახაძე თავის სიტყვაში დაწვრილებით ჩერდება სიღნაღის რაიონში აღმოჩენილი მემარჯვენეთა კონტრრევოლუციური ჯგუფის იმ წევრთა მავნებლურ მუშაობაზე, რომლებიც მოკალათებული იყვნენ სიღნაღის რაიონის სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოებში, სახალხო სასამართლოს ყოფილ თავმჯდომარეს მახოშვილს და დამცველთა კოლეგიის ყოფილ ხელმძღვანელს კობეშავიძეს, პატიოსან მშრომელთა საჩივრებზე გამოჰქონდათ უსამართლო სრულიად უმართებულო განაჩენი. ისინი ხელოვნურად აჭიანურებდნენ სასამართლოში შემოსული საქმეების გარჩევას, არასწორ პასუხს აძლევდნენ მუშა-მოსამსახურეებს კოლმეურნეებსა და საბჭოთა მეურნეობების მუშებს.

— მახოშვილმა, — ამბობს ტალახაძე,— სასამართლოს თავმჯდომარედ ყოფნის დროს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირის ჩუთლაშვილის მკვლელს ნასყიდაშვილს, რომელსაც ტერორისტული აქტის მოწყობისათვის უმაღლესი სასჯელი ეკუთვნოდა, 5 წლით პატიმრობა მიუსაჯა. მახოშვილმა უარი უთხრა ძიებაზე ელდარის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის მუშებს, რომლებსაც მეურნეობის ყოფილი დირექტორი, ბანდიტი აბაშიძე, უკმაყოფილების შექმნის მიზნით, ხელფასს არ აძლევდა, ჯუგაანის კოლმეურნეობის წევრებს მოსამართლემ სამ-სამი წლით პატიმრობა მიუსაჯა იმისთვის, რომ მათ კალოზე ნარჩენი ხორბალი შეაგროვეს, გასწმინდეს, გაჰყიდეს და ამით, კოლმეურნეთა საერთო ვახშამი მოაწყეს. ხოლო ტროცკისტ გამყიდველ იოსებ მჭედლიშვილს, რომელმაც ათასეული მანეთები მიითვისა, 2 წლის პირობითი სასჯელი გამოუტანეს და გაანთავისუფლეს.

— არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ უსამართლობას სჩადიოდნენ ის ადამიანები, რომლებსაც მინდობილი ჰქონდათ სამართლიანობისათვის ბრძოლის საქმე, ამას სჩადიოდნენ ადამიანები, რომლებიც სათავეში ედგნენ ისეთ ორგანოს, როგორიც არის სასამართლო და დამცველთა კოლეგია, მაგრამ სასამართლოში მარტო მახოშვილი და კობეშავიძე როდი იყვნენ. მავნებლურად მოქმედებდნენ და მათთან ერთად კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში იყვნენ ჩაბმულნი მოსამართლე კირტუმოვი, სასამართლოს ყოფილი მდივანი, სარქისოვა და ყოფილი პროკურორი გ. მესტიაშვილი. ეს არამზადები თვით სასამართლოს პროცესზედაც კი ლანძღავდნენ და აგინებდნენ კოლმეურნე გლეხებს და ამით მშრომელთა მასებში ნერგავდნენ სასამართლო ორგანოებისადმი ზიზღსა და ღვარძლს. მშრომელ გლეხთა აწიოკებაში ამ არამზადებს არ ჩამორჩებოდა ბრალდებული მეტრეველი. პარტიამ მას ჩააბარა მეტად პასუხსაგები პოსტი - სას. საბჭოს თავმჯდომარეობა. მეტრეველს კოლმეურნეობებისათვის სწორი ხელმძღვანელობა უნდა გაეწია. მან კი, როგორც მემარჯვენე კონტრრევოლუციური

ორგანიზაციის წევრმა ხალხის მტრების წითლიძისა და ალავერდაშვილის დავალებით კოლმეურნეობათა დაშლას მიჰყო ხელი. მეტრეველი შეგნებულად ამახინჯებდა საბჭოთა კანონებს. ზედმეტად ბეგრავდა და ყოველმხრივ ავიწროებდა გლეხებს, ზედმეტად შეწერილი გადასახადის დასაფარავად უყიდდა მათ საოჯახო ნივთებს. მან კოლმეურნეობა „7 ნოემბერსა“ და „გლეხის სინათლეში“ მავნებლურად გადაასწორა და გაადიდა სესხზე ხელისმოწერის თანხათა ჯამი, რამაც კოლმეურნეობებში აღშფოთება გამოიწვია. მეტრეველმა წინასწარი განზრახვით კოლმეურნეობა „7 ნოემბერში“ მოაწყო აბრეშუმის ჭიის თუთის ცუდი ფოთლით კვება, რასაც შედეგად მოჰყვა ჭიის განადგურება.

გამორკვეულია, რომ მეტრეველი შემთხვევით არ მოხვედრილა მემარჯვენეთა კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში, მას წითლიძისა ალავერდაშვილისაკენ იზიდავდა თავისი ტროცკისტული ბუნება. მიმდინარე წელს, როდესაც პარტია ანადგურებდა ტროცკისტებს, მეტრეველიც, როგორც გაუსწორებელ ტროცკისტი, გარიცხა თავისი რიგებიდან და ჩამოართვა მანდატი. მეტრეველი, თითქოს გულწრფელად დაჰპირდა პარტიას, რომ იმუშავებდა ენერგიულად, გამოსწორდებოდა და იქნებოდა პატიოსანი საბჭოთა მოქალაქე. ხრიკებითა და თაღლითობით მეტრეველი ისევ შეძვრა პარტიაში, დაიბრუნა პარტიული მანდატი და გააჩაღა მავნებლური და დივერსიული მუშაობა საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად.

პროცესმა, რომელიც აქ 4 დღეს გრძელდებოდა, მოგვცა ნათელი სურათი იმ ბოროტმოქმედებებისა და მავნებლური მუშაობისა, რომლებსაც ამ კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წვერები ატარებდნენ სიღნაღის რაიონის სოფლის მეურნეობის დაცემისა და განადგურებისათვის, მშრომელ მასებში უკმაყოფილების ხელოვნურად გამოწვევისთვის, საბჭოთა ხელისუფლების დანგრევისა და კაპიტალიზმის აღდგენისათვის. შეუძლებელია იმაზე უფრო მეტი სისაძაგლე, რასაც ფაშიზმის ეს პირსისხლიანი აგენტები სჩადიოდნენ. ამას ახლა ყველა გრძნობს, ყველა ხედავს.

როგორი უნდა იყოს პროლეტარული სასამართლოს განაჩენი სამშობლოს ამ მოღალატეთა მიმართ? ბრალდებულთა — ა. წითლიძის, შ. ალავერდაშვილის, კ. აბაშიძის, ი. სტეფანოვის, გ. მეტრეველის, ა. კობეშავიძის, ვ. მახოშვილის, მ. შათირიშვილის, ს. ყუფარაშვილის, ნ. ჯავაშვილის და ფ. ყაჯრიშვილის მიერ ჩადენილი დანაშაული მეტად მძიმეა.

ეს მავნებლები, რომლებსაც ჯიბეში ედოთ საქართველოს პარტიისა და მთავრობის ნდობის საგზური, მარცხენა ხელში პარტიული დირექტივებითა და ხელმძღვანელთა მითითებებით გამოდიოდნენ სხდომებზე, კრებებზე და თათბირებზე. ხოლო მათი დამთავრების შემდეგ მარჯვენა ხელით სისაძაგლეს, საზიზღრობას, მავნებლობას და

ტერორისტული აქტების მოწყობას ამზადებდნენ. ეს ითქმის ყველა ბრალდებულზე, რომლებსაც თქვენ აქ ასამართლებთ.

მათი მოქმედებანი და მიზნები მეტად ბნელი და საშინელია. – სამშობლოსადმი ჩემი უსაზღვრო სიყვარული, — ასკვნის ამხ. ი. ტალახაძე, — თავდადება და რევოლუციური კანონიერების მტკიცედ დაცვის ინტერესები გვავალებს სასტიკად დაესაჯოთ ეს დივერსანტები, ჯაშუშები, პირსისხლიანი ფაშიზმის აგენტები, იმპერიალიზმის შხამიანი გველის წიწილები, ისინი უნდა გასრისონ მუშათა კლასის დიქტატურის რკინის ქუსლით.

სჯობს მოკვდეს სამშობლოს ეს თერთმეტი მოღალატე, ვიდრე მათმა არსებობამ შემდეგში გამოიწვიოს ათასობით და ათიათასობით ადამიანთა მსხვერპლი.

ჩვენმა შინსახკომმა, მისი რკინის სახკომის ამხანაგ ეჟოვის მეთაურობით, გამოავლინა და მომავალშიაც გამოავლენს მშრომელთა მტრებს, დივერსანტებს, ჯაშუშებს, სამშობლოს მოღალატეებს და გაანადგურებს მათ.

საბჭოთა ქვეყნის გამარჯვებული მშრომელები მთელი მსოფლიოს მშობელთა ბელადის დიდი სტალინის ირგვლივ სალ კლდესავით არიან აღმართულნი და თვალისჩინივით უფრთხილდებიან სტალინისა და მისი თანამებრძოლების სიცოცხლეს.

სამშობლოს მოღალატეები ფიზიკურად მოსპობილ არიან

ხუთ დღეს გაგრძელდა მემარჯვენეთა სიღნაღის კონტრრევოლუციური დივერსიულ - ტროცკისტული ორგანიზაციის პროცესი, საქართველოს მშრომელთა ყურადღება მიპყრობილი იყო ამ პროცესისაკენ, რომელმაც ყველასათვის, აშკარა გახადა სინდისგარეცხილ ადამიანთა მთელი შავბნელი საქმიანობა. ხალხის მტერი, ჯაშუში წითლიძე, შ. ალავერდაშვილი, გ. აბაშიძე და მავნებელთა მთელი ეს ბანდა ამზადებდა ტერორისტულ აქტებს და საბჭოთა ქვეყნის მშვიდობიან მშრომელებს სისხლში ჩახრჩობით ემუქრებოდა. ამიტომ იყო, რომ საქართველოს პატიოსანი მშრომელები მთელი გულით მოითხოვდნენ თერთმეტივე მავნებელ დივერსანტის ფიზიკურად მოსპობას. მრავალი ასეული დეპეშა და წერილი მიიღო საქართველოს უზენაესი სასამართლოს სპეციალურმა შემადგენლობამ. ამ წერილებში და დეპეშებში მშრომელები ერთსულოვნად მოითხოვდნენ სამშობლოს გამყიდველთა დახვრეტას.

მოუთმენლად მოელოდნენ სიღნაღის მშრომელები სასამართლოს უკანასკნელი სხდომის დაწყებას და განაჩენის გამოტანას. 28 აგვისტოს, საღამოს 7 საათსა და 30 წუთზე, დაიწყო უკანასკნელი სხდომა. თეატრის ირგვლივ ტევა არ არის. ბაღში რადიოგადამცემთან დიდძალ ხალხს მოუყრია თავი ბრალდებულებმა ყაჯრიშვილმა და ჯავაშვილმა დაამთავრეს უკანასკნელი სიტყვები. ორივემ სიცოცხლის შენარჩუნება სთხოვა სასამართლოს.

7 საათსა და 50 წუთზე სასამართლოს სპეციალურმა შემადგენლობამ ამხ. მ. ისაკაძის თავმჯდომარეობით, ე. თათუზოვის და თათუხაშვილის შემადგენლობით გამოიტანა განაჩენი.

ქუჩებსა და მოედნებზე დიდძალი ხალხი შეკრებილა, ყველა თეატრისაკენ მიიჩქარის. ყველას უნდა მესმინა განაჩენი. აი, ამხ. მ. ისაკაძემ დაიწყო განაჩენის კითხვა. ყველა ფეხზე დგას და სულგანაბული უსმენს. შ. ალავერდაშვილს, ა. წითლიძეს, კ. აბაშიძეს, ი. სტეფანოვს, გ. მეტრეველს, ა. კობეშავიძე და ვ. მახოშვილს სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა, ყველას მიმართ, მთელი პირადი ქონების კონფისკაციით. ამ განაჩენს დარბაზი მქუხარე ტაშით შეხვდა.

— სიკვდილი სამშობლოს მოღალატეებს! — ისმოდა წამოძახილები.

— გაუმარჯოს რევოლუციურ მართლმსაჯულებას, მადლობა სასამართლოს!

ტაში დიდხანს გაგრძელდა...

გუშინ, 29 აგვისტოს, საღამოს რაიონის კოლმეურნეობებსა და ქალაქის წარმოება-დაწესებულებებში გაიმართა მიტინგები, რომლებზედაც განხილულ იქნა განაჩენი მემარჯვენეთა სიღნაღის კონტრრევოლუციური ტერორისტული დივერსიული ორგანიზაციის საქმეზე. ეს განაჩენი მთელი მშრომელთა ხალხის განაჩენია. სოფელ წითელწყაროს კოლმეურნეობა „შრომის“ წევრთა საერთო კრებამ განიხილა სიღნაღის კონტრრევოლუციონერ ბანდიტთა საქმეზე გამოტანილი განაჩენი, რომელსაც კრება ერთსულოვნად იწონებს. კრების მიერ მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია:

კოლმეურნეთა გაერთიანებული კრება სიტყვას იძლევა, რომ ერთიათად გავამახვილებთ რევოლუციურ კლასობრივ სიფხიზლეს და ნიღაბს ავხდით ხალხის ჯერ კიდევ გამოუმჟღავნებელ მტრებს, ჯაშუშებს დივერსანტებს. ბოლშევიკურად შევასრულებთ ყველა ვალდებულებას საკოლმეურნეო მშენებლობის დარგში, ვადაზე ადრე შევასრულებთ სახელმწიფო გეგმას, უზრუნველვყოფთ 240 ჰექტარი მიწის უდანაკარგოდ აღებას, დროულად დავამთავრებთ 1130 ჰექტარ მიწის დამუშავებას. სიღნაღის რაიონის ყველა კოლმეურნეობებში ტარდება კრებები დივერსანტთა საპასუხოდ მრავალი ასეული კოლმეურნე ჩაება სტახანოვურ მოძრაობაში.

საქ. კ. პ. (ბ) სიღნაღის რაიკომში 150-ზე მეტი რეზოლუციაა მოსული. მშრომელები იწონებენ საქ. უზენაეს სასამართლოს სპეციალური შემადგენლობის მიერ გამოტანილ განაჩენს, სიღნაღელი მავნებელთა და ჯაშუშთა დახვრეტის შესახებ.

1937 წლის 27 აგვისტო, გაზეთი კომუნისტი
მემარჯვენეთა სიღნაღის კონტრევოლუციონერ მავნებელთა ორგანიზაციის პროცესი

24 აგვისტოს საღამოს სხდომა
ბრალდებულ შ. ალავერდაშვილი დაკითხვა

თავმჯდომარე: ცნობთ თუ არა თავს დამნაშავედ წაყენებულ ბრალდებებში?

ალავერდაშვილი: სავსებით ვცნობ თავს დამნაშავედ.

თავმჯდომარე: უამბეთ სასამართლოს, რა კონტრრევოლუციური მავნებლური დანაშაულებანი ჩაიდინეთ, როგორ მოხვდით მემარჯვენეთა ბანდაში.

ალავერდაშვილი: ჯერ კიდევ 1931 წლის დამლევს. მემარჯვენეთა საქართველოს ცენტრის წევრის სევა კუხალეიშვილის დავალებით მე მივიღე 13,000 დაავადებული ცხვარი, რომლის დიდი ნაწილი დაიხოცა 1932 წელს, კუხალეიშეილი ჩამოვიდა და მითხრას: შენ უკვე ჩაიდინე დანაშაული, დაავადებული ცხვარი მიიღე, რომელიც დაიღუპა. მეტი გზა არ არის, უნდა განაგრძო მავნებლური მუშაობა, თორემ დაიღუპებიო, — დამემუქრა იგი, შირაქის საბჭოთა მეურნეობაში მე ვაწარმოვებდი შემდეგ მავნებლობას: მივიღე დიდძალი ტრაქტორი და კომბაინი, რაც მეურნეობისათვის არ იყო საჭირო, მავნებლურ მუშაობაში მე ჩავაბი უსტიაშვილი და მურთასიშვილი, 1935 წლიდან დაშ-ნიშნეს სიღნაღის რაიაღმასკომის თავმჯდომარედ. კერძო ლაპარაკში შევატყვე არტემ წითლიძეს, რომ იგი უკმაყოფილო იყო პარტიისა და არსებულ ხელმძღვანელების, პირადად ლ. პ. ბერიასი. ერთმანეთს გავუზიარეთ გულის დარდები და რაიონში გავშალეთ მავნებლური მუშაობა. რაიონში მიწსახკომის მავნებლური გეგმის მიხედვით დავიწყეთ. მეღორეობის 9 ფერმის მშენებლობა, რაც დაჯდა 400.000 მანეთი. ფერმები დაფინანსებული იყო და ეს ფული კოლმეურნეობებმა გადაიხადეს. იმ წელიწადს მოსავალი არ იყო კარგი და ამ თანხის გადახდამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია კოლმეურნეთა შორის. წნორის მტს-ის დირექტორს სტეფანოვს ევალებოდა მავნებლობა ტრაქტორების პარკის მუშაობაში. მას დაევალა თესვის ვადების გაჭიანურება, ტრაქტორების რემონტის ჩაშლა და კოლმეურნეობებთან დადებული ხელშეკრულებათა შეუსრულებლობა. ამ დავალებებს სტეფანოვი პირნათლად ასრულებდა. მთელი ჩვენი მუშაობა მიმართული იყო კოლმეურნეობების დანგრევისაკენ. ამ მიზნით მთელ გეგმებს ჩვენ მავნებლურად ვუშვებდით კოლმეურნეობებში. თამბაქოს დამუშავების ხაზით ჩვენ ზოგიერთ კოლმეურნეობებს მივეცით ზედმეტი გეგმა. მეცხოველეობის დარგშიც გაბერილ გეგმას ვაძლევდით კოლმეურნეობებს. ზემოქედის კოლმეურნეობაში იხოცებოდა ღორები, რქიანი საქონელი. ეს საკითხი ჩემს წინაშე დასვეს, მაგრამ მე ამისათვის ყურადღება არ მიმიქცევია, პირიქით, გამეხარდა,

მემარჯვენეთა ცენტრი ჩვენ გვავალებდა კოლმეურნეობებში უკმაყოფილების გამოწვევას. ამ მიზნით ყოველმხრივ ვავიწროვებდი კოლმეურნეობებს. მეცხოველეობის მეურნეობა მივიყვანეთ ლიკვიდაციის პირამდე. ინჟ. მესტიაშვილის მეშვეობით მე გავატარე მავნებლობა საგზაო მშენებლობაში და სასტუმროს მშენებლობაში.

ტალახაძე: მეთესლეობაში და ნიადაგის დამუშავების საქმეში თქვენი მავნებლური მუშაობა ყოველწლიურად რამდენად ამცირებდა მოსავალს?

ალავერდაშვილი: ჩვენი დამანგრეველი მუშაობის შედეგად კოლმეურნენი ერთიორად და ერთისამად ნაკლებ მოსავალს ღებულობდნენ.

ტალახაძე: ელექტროსადგურის მშენებლობაში ჩადენილ მაენებლობაზე რას იტყვით?

ალავერდაშვილი: სიღნაღში არ იყო ელსადგური, ჩვენ დავიწყეთ მისი აგება. შევიძინეთ სხვადასხვა ძალის დინამო და დიზელი, დავადგით ისინი და რაიონმა სინათლე ვერ მიიღო ფული კი აუარებელი დაიხარჯა. გარდა ამისა, ჩვენ მეღორეობის ფერმა ავაშენეთ იქ, სადაც ლორის მოშენება შეუძლებელი იყო, ხოლო იმ კოლმეურნეობებში, სადაც კარგი ფერმები იყო, ძალით გავაუქმეთ, კოლმეურნეთა შორის არც მიწებს ვანაწილებდით სწორად.

ტალახაძე: ფული ხომ გჭირდებოდათ მავნებლური ორგანიზაციის საარსებოდ, ვინ გაძლევდათ იმ ფულს?

ალავერდაშვილი: ჩატარებული მავნებლური მუშაობისათვის სევა კუხალეიშვილმა 18.000 მანეთით დააჯილდოვა გულისაშვილი, რომელიც მემარჯვენეთა ჯგუფის წევრი იყო.

25 აგვისტოს დილის სხდომა

ბრალდებულ კ. ლ. აბაშიძის დაკითხვა

25 აგვისტოს დილის სხდომაზე გაგრძელდა ალავერდაშვილის დაკითხვა, რომლის შემდეგ დაიწყო ბრალდებულ კ. ლ. აბაშიძის დაკითხვა. მან თავი სცნო დამნაშავედ წაყენებულ ბრალდებაში და თავისი მავნებლური ტერორისტული მუშაობის შესახებ განაცხადა:

ერთხელ აღნიაშვილი, როცა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. კომიტეტის მეორე მდივანი იყო, შემხვდა გზაში და თავისთან წამიყვანა. მას წინათაც ვიცნობდი და კარგი მეგობრობა გვქონდა. აღნიაშვილმა მოთხრა, საბჭოთა კაეშირის ბედი კრიტიკულიაო. მე ვკითხე, რა ეშველება საქართველოს-მეთქი. ამაზე აღნიაშვილმა მიპასუხა, ჩვენ უნდა ვუშველოთო, და დამავალა შემედგინა შეიარაღებული ჯგუფები, რომლებიც მოახდენდნენ ტერორისტულ

აქტებს და ფაშიზმთან ომის შემთხვევაში მოაწყობდნენ შეიარააღებულ აჯანყებას. 1936 წელს აღნიაშვილი მელაპარაკა ტერორისტულ აქტზე ბერიას, ბაქრაძის და გოგლიძის წინააღმდეგ. მე შევადგინე მეამბოხეთა 5 ჯგუფი. მე, რო-გორც ძველმა პორუჩიკმა, მენშევიკური მილიციის უფროსმა, ეს ჯგუფები გავანაწილე სამხედრო სტრუქტურის მიხედვით.

ტალახაძე: რაზე გელაპარაკებოდათ მათიკაშეილი?

აბაშიძე: მათიკაშვილი აქ, სიღნაღში ჩამოვიდა სანადიროდ, როცა მარტო ვიყავით, მითხრა: რას შვრები, კაცო, აღნიაშვილის დავალებისა რა ჰქენიო. მე ყველაფერი ვუამბე. ჯგუფის წევრებიც დავუსახელე, ჩავაბარე ზუსტი ანგარიში ჩემს მიერ ჩატარებულ მუშაობაზე და შემდეგ მან შეამოწმა ეს.

თავმჯდომარე: შენს მიერ ჩამოყალიბებულ მეამბოხეთა ჯგუფებს ჰქონდათ თუ არა იარაღი?

აბაშიძე: მეამბოხეთა ჯგუფის წევრები უმთავრესად მწყემსები იყვნენ, რომლებსაც საკმაოდ აქვთ იარაღი. გარდა ამისა, ელდარის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის საწყობში საკმაო რაოდენობით მქონდა თოფები და, როგორც დირექტორს, ყოველ წუთს შემეძლო მათი გამოყენება.

თავმჯდომარე: რას იტყვი აღნიაშვილის შესახებ?

აბაშიძე: 1935 წელს აღნიაშვილმა გამომიძახა თბილისში, თავის კაბინეტში და მომთხოვა ანგარიში. მეც ვუამბე ყველაფერი და ახალი დავალებები მივიღე, ზემო-ალვანიდან მიტო მიქელაძეს, ერისტო ლაგაზიძეს და ვ. მაჭავარიანს დავავალე ჯგუფების შედგენა. ჩვენი მეამბოხეთა ჯგუფები უმთავრესად შესდგებოდა ყოფილი კულაკებისა და საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილი ელემენტებისაგან. ჩვენ მათ განსაკუთრებით ვეყრდნობოდით და ვარჩევდით.

ბრალდებულ იოსებ სტეფანოვის დაკითხვა

წნორის მტს-ის ყოფილმა დირექტორმა იოსებ სტეფანოემა თავი სცნო დამნაშავედ და სასამართლოს თაემჯდომარის ამხ. მ. ისაკაძის შეკითხვაზე უპასუხა:

— 1934 წელს მე მივედი მათიკაშვილთან მტს-ის ფინანსიური მდგომარეობის შესახებ მოსალაპარაკებლად. საღამოთი მან წამიყვაანა სახლში და მითხრა, ტრაქტორების რემონტი არ უნდა იყოს კარგიო. შენ ჩვენი დავალებებით უნდა იმუშაო, გააუარესე ხვნის ხარისხი და ტრაქტორების რემონტიო. ტრაქტორების გაცდენით კოლმეურნეობებს მუშაობა უნდა შეუფერხოთო. მანვე მითხრა, რომ არსებობს მემარჯვენეთა კონტრრევოლუციური ორგანიზაცია, რომლის მიზანს შეადგენს არსებული

წესწყობილების დამხობა და კაპიტალიზმის აღდგენაო. მე მივიღე დავალება. მათიკაშვილმა 1936 წელს ტრაქტორების ზამთრის რემონტის დროს დაფინანსება შეგვიწყვიტა. უფროს აგრონომს შ. ბახიას გამოვუძახე და გავაცანი მათიკაშვილის დავალებები, ის ყველაფერში დამეთანხმა, გარდა ამისა, ბახიას ვუთხარი, საჭირო იქნება ზოგიერთი უბნის აგრონომების ჩათრევა-მეთქი. ბახიამ თავის მხრივ მავნებლურ მუშაობაში ჩააბა აგრონომები: მესხი და ვადაჭკორია, რომლებსაც დავალებული ჰქონდათ აგრომინიმუმი არ გაეტარებინათ და კოლმეურნეობებს რაც შეიძლება ნაკლები მოსავალი მიეღოთ. მე აღრიცხვის და შრომის ორგანიზაციის საკითხებს განგებ არ ვაქცევდი არავითარ ყურადღებას, რის გამო ლენინის სახელობის და სხვ. კოლმეურნეობებში დიდი არევდარევა შევიტანეთ, კოლმეურნეობათა წევრები არ გადიოდნენ სამუშაოდ. ნაკვეთების გაუპიროვნებას ხელს ვუწყობდით. ცუდი მორწყვის გამო, რიც ჩეში მითითებით შესრულდა, გაფუჭდა 20 ჰექტარი ხორბალი ცუდმა ხვნამ მოსავლიანობა 50 პროცენტით დასცა.

თავმჯდომარე: სატრაქტორო პარკში რა მავნებლობას ეწეოდით?

სტეფანოვი: 1935-36 წლის რემონტის დროს ცუდად შევაკეთეთ ტრაქტორები. ტრაქტორისტების ხელფასი დავხარჯე რემონტზე და ამით გამოვიწვიე უკმაყოფილება ტრაქტორისტებში. მრავალმა ტრაქტორისტმა დემონსტრატიულად დატოვა მტს, მაშინ როცა ჩვენ კადრების სიმცირეს განიცდიდით. კოლმეურნეობებს ჩვენ ხელი არშევუწყეთ თესლის შერჩევასა და გაწმენდაში. ამიტომ დაითესა ცუდი ხარისხის თესლი და მოსავალი ნაკლები მივიღეთ. კერძოდ ა. წითლიძემ მომცა დავალება, რომ ჯუგაანში, სადაც თამბაქოს გადარგვაში გარღვევა იყო, წვიმაში „ჩტზ“ ტრაქტორით დამეწყო ხვნა, რაც შევასრულე და დიდი ზარალი მივიღეთ. ფერმების მშენებლობამ, რასაც ჩვენ მავნებლურად ვაწყობდით კოლმეურნეობებში ძალზე შეამცირა შრომის დღეების ანაზღაურება. როცა ტრაქტორების სათადარიგო ნაწილები გვაკლდა, ჯანსაღ ტრაქტორებს უცვლიდით ნაწილებს, ხოლო დაზიანებულებს კი არ ვარემონტებდით.

ტალახაძე: როგორ დაუკავშირდით მავნებელთა ორგანიზაციას?

სტეფანოვი: მე უკმაყოფილო ვიყავი იმით, რომ მუდამ რეგიონში მიხდებოდა მუშაობა. ამაზე მათიკაშვილი მომელაპარაკა, დამპირდა ბინას მოგცემ და დაგეხმარებიო. ამავე დროს ჩამაბა მემარჯვენეთა ორგანიზაციაში. 1936 წელს წელს ალავერდაშვილმა, მითხრა, თუ ვინ იყო მავნებელთა ორგანიზაციაში, შემდეგ დავუკავშირდი მათ და უფრო გავშალე მუშაობა, მათიკაშვილი ხშირად მიწვევდა თავისთან, მესაუბრებოდა, მაძლევდა დავალებებს, რასაც ვასრულებდი. ყველაფერს ამას ვაკეთებდით იმიტომ, რომ ჩვენს მავნებელთა ორგანიზაციას უნდოდა არსებული ხელისუფლების დამხობა და კაპიტალისტური წესწყობილების აღდგენა.

ბრალდებულ გიორგი მეტრეველის დაკითხვა

სიღნაღის რაიონის საქობოს სასოფლო საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე გიორგი მეტრეველი უკმაყოფილო იყო იმით, რომ მას თითქოს სათანადო ყურადღებას არ აქცევდნენ. 1936 წელს არტემ წითლიძეს შესჩივლა ეს და სთხოვა დახმარება. ამაზე წითლიძემ უთხრა, ალავერდაშვილი მოვა და ის მოგელაპარაკებაო. რამდენიმე დღის შემდეგ, ამბობს, მეტრეველი, მართლაც მოვიდა ალავერდაშვილი და მითხრა, ყველაფერში დაგეხმარები, ოღონდ ჩვენი დავალებები შეასრულეო. მეშდეგ დაუმატა: შენ თუმც უკვე ჩათრეული ხარ მემარჯვენეთა ორგანიზაციაში, რადგან ფერმების მშენებლობა მავნებლური იყო, რასაც ჩვენთან ერთად შენც ხელმძღვანელობდიო. შემდეგ მე დავეთანხმე ყველაფერში და დავიწყე მუშაობა. ერთხელ არტემ წითლიძე შემხვდა და მკითხა, ალავერდაშვილის დავალებებს როგორ ასრულებო. მეც ვუამბე ყველაფერი. სესხზე ხელისმოწერის დამთავრების შემდეგ, იმ მიზნით, რომ კოლმეურნეობებში უკმაყოფილება გამომეწვია, მე ადმინისტრაციული წესით ვიბარებდი ცალკეულ კოლმეურნეებს და პირადად ვუდიდებდი ხელისმოწერის თანხას 100 პროცენტით. ასე, მაგალითად, კოლმეურნეებმა ნიკ. ბაკაშვილმა, ი. სპანდერაშვილმა ხელი მოაწერეს თვითეულმა 70 მანეთზე. მე მათ გავუდიდე ხელმოწერა თვითეულს კიდევ 70 მანეთით. ანალოგიური ღონისძიებანი განვახორციელე კოლმეურნეობა „გელხის სინათელში:, იაკოვლევის სახელობის კოლმეურნეობაში და სხვა კოლმეურნეობებში. რაიონულმა გაზეთმა „ კოლმეურნემ“ მოათავსა წერილი, მიჰბაძეთ, საქობოს სასოფლო საბჭოსო. მე შემეშინდა: ვაითუ ჩემი გამოცდილების გადასატანად მოვიდნენ და მავნებლობა აღმოაჩინონ-მეთქი. ნოემბერში ჩემთან მოვიდა საქთამბაქოს კანტორის მმართველი დამენია და მითხრა, 5 დღეში თამბაქოს ჩაბარების გეგმა მდარე ხარისხით უნდა შეასრულოთო, მეორე და მესამე ხარისხის თამბაქოს მე ვაბარებდი როგორც წუნს და ამით კოლმეურნეობებს შემოსავალი აკლდებოდათ, მე ვამახინჯებდი საგადასახადო პოლიტიკას. სოფლის მოსახლეობის 30 პროცენტს ზედმეტად დავაწერე გადასახადი, რამაც აშკარა უკმაყოფილება გამოიწვია. მე მჭიდროდ დაკავშირებული ვიყავი წითლიძესა და ალავერდაშვილთან, რომლებიც მაძლევდნენ დავალებებს და მეც ვასრულებდი. ალავერდაშვილმა კერძო საუბარში განმიცხადა, ჩვენ დაკავშირებული ვართ გ. მგალობლიშვილთან, ს. კუხალეიშვილთან და სხვებთანო.

ხალხის მტერი გიორგი მეტრეველი, აწარმოებდა რა მავნებლურ მუშაობას, მიმართული საბჭოთა ხელისუფლების ძირისგამოთხრისა და სახელის გატეხისაკენ. ამავე დროს ყოველგვარ ზომებს ღებულობდა რაც შეიძლება მეტი ხალხი ჩაება მემარჯვენეთა ტერორისტულ ორგანიზაციაში. ის ხელს უწყობდა კულაკების მიღებას კოლმეურნეობებში და მათ ბრძოლას საკოლმეურნეო მშენებლობის წინააღმდეგ. მეტრეველი ეყრდნობოდა კულაკურ ელემენტებს და ითრევდა მათ ორგანიზაციაში.

ბრალდებულ სიმონ ყუფარაშვილის დაკითხვა

სიღნაღის რაიონის სოფელ ნუკრიანის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ ყოფ. თავმჯდომარე სიმონ ყუფარაშვილი უაბბობს სასამართლოს იმის შესახებ, თუ როგორ ჩააბა იგი მემარჯვენეთა კონტრრვოლუციურ ორგანიზაციაში საქ 3. (ბ) სიღნაღის რაიკომის ყოფილმა მდივანმა, ხალხის მოსისხლე მტერმა არტემ წითლიძემ. 1936 წლის თებერვალში საკოლმეურნეო საკითხებზე სიმონ ყუფარაშვილი მივიდა არტემ წითლიძესთან, რომელიც ამ დროს გაზეთს კითხულობდა. ყუფარაშვილი შეეკითხა წითლიძეს, საქართველოს ზოგიერთი რაიონის ხელმძღვანელები რომ გაგზავნეს მოსკოვში საქართველოს გასაბჭოების 15 წლის თავთან დაკავშირებით, რატომ თქვენ არ გაგაგზავნესო. ამ შეკითხვაზე წითლიძემ უპასუხა, ბერია ჩემზე გაჯავრებულია და ამიტომ შემიტანა დელეგატთა სიაშიო, ვნახოთ, ბერია როდემდის იქნება საქართველოდ ცენტრალური კომიტეტის მდივანი-ო, გაჯავრებით დაუმატა შემდეგ წითლიძემ. მათი პირველი შეხვედრა ამით დამთავრდა. ამის შემდეგ გაიარა 5-6 დღემ დივერსანტებმა წითლიძემ და ალავერდაშვილმა რაიაღმასკომში გამოუძახეს ყუფარაშვილს, როგორც არსებული ხელისუფლებით, უკმაყოფილო ელემენტს - როცა რაიაღმასკომში მივედი, - უამბობს სასამართლოს გარეწარი ყუფარაშვილი, - წითლიძემ პირდაპირ მითხრა: რაიონში ჩვენ გვაქვს მემარჯვენეთა კონტრრევოლუციური ორგანიზაცია, რომლის წევრი შენც უნდა გახდეო. მე პირველად წინააღმდეგობა გავუწიე, მაგრამ წითლიძემ მითხრა, გახსოვს, ბერიას შესახებ რომ გელაპარაკე, მაშინ წინააღმდეგობა არ გაგიწევია. ამას კი შენ, როგორც პარტიის წევრს, არავინ გაპატიებსო. შემდეგ წინადადება მომცა მემუშავა კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში. მეც თანხმობა გამოვუცხადე და მივიღე მავნებლური დავალებები.

სიმონ ყუფარაშვილი ჩაება მემარჯვენეთა ტერორისტულ ორგანიზაციაში და დაიწყო მავნებლობა სოფლის მეურნეობაში. ნუკრიანის კოლმეურნეობაში ყუფარაშვილი ატარებდა დამანგრეველ მუშაობას. მხარს უჭერდა და აქეზებდა კულაკებს. ქმნიდა უკმაყოფილებას კოლმეურნეთა შორის საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, აჭიანურებდა სასოფლო-სამეურნეო კამპანიების ჩატარებას. 1936 წლიდან დაპატიმრებამდე ყუფარაშვილმა ცოტა ზიანი როდი მიაყენა კოლმეურნეობას, 45 ჰექტარი მიწა არ მოხნა დროზე და მოაცდინა, მიიღო ათი ავადმყოფი თხა და სცადა კოლმეურნეთა ცხვრების დაავადება.

-ავადმყოფი თხები იმიტომ არ გავურიე კოლმეურნეობის ფარაში, - ამბობს ყუფარაშვილი, — რომ მეშინოდა, ცხვრები ერთბაშად დაიხოცებოდნენ, ყველაფერი გამომჟღავნდებოდა და კოლმეურნეები იქვე ჩამქოლავდნენ.

ყუფარაშვილმა ალავერდაშვილისა და წითლიძის დავალებით კოლმეურნეობაში მიიღო 13 ყოფილი კულაკი, რომლებსაც მხოლოდ დეზორგანიზაცია შეჰქონდათ, მაგრამ

გარეწარი ყუფარაშვილი მათი მფარველობდა და ამით დიდ უკმაყოფილებას იწვევდა კოლმეურნეებში.

გაზეთი "კომუნისტი" 26.08.1937

მემარჯვენე კონტრრევოლუციონერ ტერორისტ-დივერსანტ მავნებელთა სასამართლო პროცესი – საბრალდებო დასკვნა

საქართველოს სსრ შინსახკომის მიერ 1937 წელს სიღნაღის რაიონში აღმოჩენილ და ლიკვიდირებულ იქნა მემარჯვენეთა კონტრევოლუციური ტერორისტული დივერსიულ-მავნებლური ორგანიზაცია საქართველოს კ.პ. (ბ) სიღნაღის რაიკომის ყოფ.მდივნის არტემ დიმიტრის ძე წითლიძის და ამავე რაიონის აღმასკომის ყოფ.თავმჯდომარის შალვა კონსტანტინეს-ძე ალავერდაშვილის ხელმძღვანელობით.
საქმის გამოძიებით გამოირკვა, რომ მემარჯვენეთა სიღნაღის კონტრევოლუციური მავნებლური ორგანიზაცია, რომელიც მოწყობილი იყო და მოქმედებდა მემარჯვენეთა კონტრევოლუციური ორგანიზაციის საქართველოს ცენტრის პირდაპირი მითითებებით, თავის ამოცანად ისახავდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობას საქართველოში და კაპიტალიზმის რესტავრაციას და შეიარაღებული აჯანყების მოწყობით, მეამბოხეთა რაზმების შექმნით, საკავშირო კომპარტიის (ბ) და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელთა მიმართ ტერორის გამოყენებით, სახალხო მეურნეობაში დივერსიული და მავნებლური აქტების განხორციელებით, კოლმეურნეობათა დაშლით და საკავშირო კომპარტიის (ბ) და საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკის მიმართ მშრომელთა შორის უკმაყოფილების ხელოვნურად შექმნით.
ასე, მაგალითად: ბრალდებული არტემ წითლიძე მემარჯვენე კოტრრევოლუციური ორგანიზაციის საქართველოს ცენტრის თავმჯდომარესთან-გერმანე მგალობლიშვილთან თავისი კონტრევოლუციური კავშირის შესახებ 1937 წლის 8 აგვისტოს დაკითხვაზე იძლევა შემდეგ ჩვენებას:
;... მგალობლიშვილმა წინადადება მომცა გამეშალა ინტენსიური კონტრრევოლუციური მუშაობა სიღნაღის რაიონში. ჩემი საქმიანობა ძირითადად მიმართული უნდა ყოფილიყო იქითკენ, რომ დივერსიულ მავნებლურ ღონისძიებათა მთელი ჯამით მომეხდინა სოფლის მეურნეობის დეზორგანიზაცია სიღნაღის რაიონში. გლეხობის თვალში სახელი გამეტეხნა პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკისათვის და გამომეწვია უკმაყოფილება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. რაც შეეხება ჩვენი ორგანიზაციის ბრძოლის მეთოდებს, მგალობლიშვილმა მითხრა, რომ ახლანდელ ეტაპზე ორგანიზაცია გადავიდა პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის უმწვავეს ფორმებზე, სახელდობრ: ტერორისტული აქტების მომზადებაზე საკავშირო კომპარტიის და საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ და დივერსიული ძირგამომთხრელი მოქმედებების გაშლაზე ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობაში".

ამავე საგანზე ბრალდებული შალვა ალავერდაშვილი 1937 წლის 4 აგვისტოს დაკითხვაზე იძლევა შემდეგ ჩვენებას:

“... დავალებებს კონტრრევოლუციური ორგანიზაციისაგან მე ვიღებდი სევა კუხალეიშვილის საშუალებით, რომელმაც კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში ჩამაბა და რომელიც მაძლევდა შემდეგ დავალებებს მავნებლობის ხაზით: გამეტარებინა ავადმყოფი ცხვრის მიღება საქართველოს სამტრესტისაგან და შემერია ეს ცხვარი პროდუქტიულ სულადობაში ცხვრის ამ ნაწილის დაღუპვის მიზნით, შემედგინა შირაქის მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობის მავნებლური საორგანიზაციო გეგმები, უმთავრესად თესლბრუნვის , კაპიტალური მშენებლობის და კომბაინებისა და ტრაქტორების მუშაობის ნორმატივების დარგში, ხელოვნურად შემექნა შირაქის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეებისათვის ხელფასის მიცემის შეფერხება, შემეტანა ზედმეტი ტრაქტორები და კომბაინები და არ გამომეყენებინა ისინი, გამომეყვანა მწყობრიდან ტრაქტორები და კომბაინები მათი კაპიტალური მიმდინარე რემონტის ჩაშლით გზით, არათავისდროზე მომემარაგებინა სასოფლო-სამეურნეო მანქანების პარკი სამარაგო ნაწილებით, შემერჩია არაკვალიფიციური ტრაქტორისტები და კომბაინერები.